ვ. გულისაშვილი საქართველოში დაბრუნდა 30-იან წლებში და სიცოცხლის ბოლომდე ემსახურებოდა საქართველოს ბუნების კვლევასა და დაცვას. 1935-36 წლებში იგი ამიერკავკასიის სატყეო მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილეა. 1935 წლიდან 1945 წლამდე განაგებს ბოტანიკის ინსტიტუტის ეკოლოგიის განყოფილებას, 1937-1939 წლებში მუშაობს თბილისის სატყეო ტექნიკური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ. 1937-1960 წლებში საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ზოგადი მეტყვეობის კათედრის გამგეა, ხოლო 1944 წლიდან 1952 წლამდე პარალელურად მუშაობს თბილისის ბოტანიკური ბაღის დირექტორად.

1944 წელს მას ირჩევენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1946 წელს - ნამდვილ წევრად. 1945 წელს მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისთან შეიქმნა თბილისის სატყეო ინსტიტუტი, რომლის უცვლელი დირექტორი თვითონ იყო სიკვდილამდე. დღეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამთო მეტყვეობის ინსტიტუტი მის სახელს ატარებს.


დიდი გიორგი ლეონიძე და ვასილ გულისაშვილი ახლო ნათესავები იყვნენ, მათ ძალიან თბილი ურთიერთობა ჰქონდათ. გიორგი ლეონიძის დედა - სოფელი გულისაშვილი ნინოწმინდის დეკანოზის ასული იყო. მათი ოჯახების სასიყვარულო სტუმარი გახლდათ ქართული ბუნების დიდი მესაიდუმლე, ბრძენი პოეტი ვაჟა-ფშაველა. ვასილ გულისაშვილის დიდი სიყვარულის სათავეები ბუნების მიმართ მისი ოჯახის ტრადიციებში უნდა ვეძიოთ.

აი, რას ვკითხულობთ აკადემიკოს გიორგი ლეონიძის წინასიტყვაობით გამოცემულ ზაქარაია გულისაშვილის წიგნში („მოთხრობები, ნარკვევები“, 1953): „მამა-პაპით შესანიშნავი და მთელ ევროპაში განთქმული ტყის ხმარების წესი ჰქონიათ ქართველებს... სასოფლო ტყის ნახევარს რამდენიმე წელს ჩეხადენენ, რომ პირველი ისევ გაიზარდოს... დასაცავ ტყეს ამორჩევიდა სოფლის ყრილობა, მას ხატებით გასს შემოუვლიდნენ, სოფლის მამაკაცობა ტყის ახლოს მდებდეს პარაკლისს ახდევინებდა, მერე ქართულ ღვინის გააჩაღებდნენ... დაკულ ტყეში სახრეც კი არ უნდა მოეჭრა არავის, თორემ სასოფლო მოედანზე ხარს დაუკლავდნენ...“ ასეთ ტრადიციებზე იმდენი მომავალი მეტყვე-მეცნიერი.

აკად. ვასილ გულისაშვილი იყო საქართველოს ბუნების დიდი მკვლევარი და მესაიდუმლე, რომელიც გასული საუკუნის 70-იანი წლების ქართულ პრესაში „გარეჯელ მიხაიას“ მოიხსენიებოდა.

დიახ, საქართველოს ბერძენულ, „გარეჯელ მიხაიას“ ბატონ ვასილს ესმოდა ხისა და საერთოდ ქართული ბუნების კვლევა და ამიტომაც იყო მისი დიდი გულშემატკივარი და ჭეშმარიტი ჭიზისუფალი. ვინაიდან ჩვენი ტყეების 98 პროცენტი მთის ფერდობებზეა განლაგებული და ასრულდნენ უაღრესად დიდ ეკოლოგიურ ფუნქციებს. პირწმინდა ჭრის ჩატარება ყოველად გაუმართლებელია, რადგან ტყე კარგავს ნიადაგ-დაცვით წყალ-მარეგულირებელ, კლიმატ-მარეგულირებელ და სოციალურ-ეკოლოგიურ ფუნქციებს, სწრაფად იწყება ეროზიული პროცესები, ხშირად სელური ღვარები, ღვარცოფები, მეწყრული პროცესები, თოვლის ზეგვები და სხვა უარყოფითი მოვლენები.

პირწმინდა ჭრების შედეგად ირღვევა ტყის კონომების ჯიშობრივი შედგენილობა, იკარგება ტყის ლანდშაფტური და ესთეტიკური მხარე, იცვლება კლიმატი და მდინარეთა წყლის რეჟიმი, და რაც მთავარია, მკვეთრად უარესდება ეკოლოგიური გარემო. გასული საუკუნის 30-40-იანი წლებიდან საქართველოში უმოწყალოდ მიმდინარეობდა ტყის მასიური პირწმინდა ჭრა, რამაც პრაქტიკულად გამოირიყა ტყის მთავარი პროდუქტის, მერქნით უწყვეტი სარგებლობის ყოველგვარი შესაძლებლობა. ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ საქართველოს ტყეების მნიშვნელობაზე, ტყის ექსპლუატაციაში დაშვებულ შეცდომებზე და დარგის მდგომარეობის გაუმ-



ვასილ გულისაშვილი - მესაიდუმლე, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე

ჯობესების აუცილებლობაზე მრავალი წლის განმავლობაში თავდადებით იბრძოდა არაერთი ქართველი მეცნიერი და პრაქტიკოსი მეტყვე, რომლის სათავეში იდგა სამთო მეტყვეობის, როგორც მეცნიერების და ქართველ მეტყვე მეცნიერთა სკოლის დამაარსებელი აკად. ვასილ გულისაშვილი.

თუ წარსულში საქართველოს მთის ტყეებში პირწმინდა ჭრები არ ტარდებოდა, ეს ვასილ გულისაშვილის, ნეტარხსენებელი პროფესორ სოლომონ ქურდიანის და მათი თანამოაზრეების ერთი მრავალთაგანი დამსახურებაა ქვეყნის წინაშე. სამწუხაროდ, უახლოეს წარსულში ახალ ურთიერთობაზე გადასვლა მეტად რთული პოლიტიკური ვითარების შექმნის, ქვეყანაში ენერგოკრიზისისა და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესების გამო, კიდევ უფრო გახშირდა მთის ტყეების არარაციონალური სარგებლობის, უნებართვო, უსისტემო და ინტენსიური ჭრები, რის შედეგად მომხდარა სტიქიურმა კატასტროფებმა, ღვარცოფებმა, წყალდიდობებმა, გრიგალმა და გვალვებმა ძალზე დააზარალა მთიანი ტყის ეკოსისტემების მდგრადობა.

აჭარის, რაჭის და რიგი მთის რეგიონების ეროზიისა და სტიქიური პროცესების გააქტიურების გამო დეფორმაცია განიცადა ან მთლიანად დაინგრა ათასზე მეტი საზოგადოებრივი სახლი, საზოგადოებრივი და სხვა საინჟინრო ნაგებობა. ამჟამად ამდენივე ოჯახი იმყოფება აქტიური სტიქიური პროცესების საშიშ ზონაში. ეს ნეგატიური პროცესები განჭვრეტილი ჰქონდა აკად. ვასილ გულისაშვილს და ყოველმხრივ იბრძოდა მათი პრევენციისათვის.

ამ ფაქტით აღფრთოვებული ერის მოჭინახე-ლე, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ილია მეორე 2000 წლის 10 ოქტომბერს ასე მიმართავდა ჩვენს მოსახლეობას: „მინდა გულისტკივლით აღვნიშნო, რომ ბოლო დროს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენები, რომელიც ხე-ტყის მოჭრასთან და მის საზღვარგარეთ გატანასთან არის დაკავშირებული, მოროტებად იქცა საქართველოს მო-

სახლეობის მიმართ. თუ ეს პროცესი არ აღიკვეთა, ჩვენ მოწმენი გავხდებით დიდი ეკოლოგიური კატასტროფისა... ტყეების გაჩეხვა უნდა შეჩერდეს“.

ვასილ გულისაშვილი იყო სამთო მეტყვეობის, როგორც მეცნიერებისა და ქართველ მეტყვე მეცნიერთა ძლიერი სკოლის დამაარსებელი. მისი უშუალო ხელმძღვანელობითა და მზრუნველობით გაიზარდა მეტყვე ინჟინერთა, ბიოლოგთა და ეკოლოგთა მრავალი თაობა, მათ შორის, მრავალი მეცნიერებათა კანდიდატი, დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი. ვასილ გულისაშვილის მეცნიერული სკოლის არაერთმა წარმომადგენელმა ღირსეულად დაიმსახურა საერთაშორისო აღიარება.

აკად. ვ. გულისაშვილის ხელმძღვანელობით სატყეო ინსტიტუტმა გამოსცა სამეცნიერო შრომათა ოცდაათი ტომი, სადაც გაშუქებულია სატყეო ნიადაგმცოდნეობის, ტყის სოციალურ-ეკოლოგიური ფუნქციების, მერქნიან მეცნიერებათა აკლიმატიზაცია-ინტროდუქციის, ბიოეკოლოგიის, ანატომია-ფიზიოლოგიის, მერქანმცოდნეობის და მთის ტყეებში მეურნეობის გაძლიერების საკითხები. საყურადღებოა ვასილ გულისაშვილის ხელმძღვანელობითა და უშუალო მონაწილეობით გამოცემული „კავკასიის დენდროფლორის“ ექვსტომეული. მისივე კალამს ეკუთვნის მრავალი ფუნდამენტური სამეცნიერო ნაშრომი, სახელმძღვანელოები უმაღლესი სკოლებისთვის, 23 მონოგრაფია. მათ შორის აღსანიშნავია „ზოგადი მეტყვეობის“ ორტომეულის არაერთი გამოცემა და „სამთო მეტყვეობა“ (მოსკოვი, 1956), რომელიც ძირითადად სახელმძღვანელოდ იქცა მეცნიერთა მრავალი თაობის აღზრდისა და კავკასიის მთის ტყეების მუშაკებისათვის. ამ წიგნმა დიდი საერთაშორისო აღიარება მოიპოვა და 1959 წელს ჩინურ ენაზეც გამოიცა. განსაკუთრებით აღსანიშნავია რუსულ ენაზე დაბეჭდილი ფუნდამენტური მონოგრაფია - „სუბტროპიკული და ზომიერი კლიმატის მერქნიანი მეცნიერებათა წარმოშობის და მათი განვითარების მემკვიდრული თავისებურებები“ (თბილისი, 1967), რამაც არა მარტო ქართველ, არამედ უცხოელ მკვლევართა დიდი ინტერესი გამოიწვია.

საყურადღებოა ა. უუკოვის რედაქციით გამოქვეყნებული „სსრკ ტყეების“ III ტომში მოთავსებული ვასილ გულისაშვილის „საქართველოს ტყეები“ (1966) და პროფ. მახათაძის და ლ. შვილიშვილის თანაავტორობით გამოცემული წიგნი „კავკასიის მეცნიერებათა“ (1975).

უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთათვის ქართულ ენაზე პირველად გამოცემულმა ვასილ გულისაშვილის სახელმძღვანელოებმა „მეცნიერება ეკოლოგია“ (1960) და „ბუნების დაცვის საფუძვლები“ (1973 და 1983) დიდი როლი შეასრულეს როგორც სტუდენტი ახალგაზრდობის, ისე საქართველოს მოსახლეობის ეკოლოგიური განათლების საქმეში.

აკად. ვასილ გულისაშვილი იყო ბუნების დაუღალავი მკვლევარი-მოგზაური. მას ფეხით ჰქონდა შემოვლილი ჩრდილო და სამხრეთ კავკასიის მთის ტყეები. ამ კვლევის შედეგები აისახა მის მონოგრაფიაში „კავკასიის ისტორიული ოლქები და ბუნებრივი ზონები“ (მოსკოვი, 1964), სადაც საფუძვლიანადაა დასაბუთებული კავკასიის ტყეების დაყოფა 14 ბუნებრივ-ისტორიულ ოლქად.

ფასდაუდებელია ვასილ გულისაშვილის, როგორც საზოგადო მოღვაწის როლი. ის იყო ინიციატორი არაერთი სამთავრობო ღონისძიებებისა, რომელიც საქართველოს ბუნების დაცვას ემსახურებოდა.

ვასილ გულისაშვილი იყო დიდად ენუდირებული, იუმორის გრძობით უხვად დაჯილდოებული, კეთილი ბუნების ადამიანი, სტუმართმოყვარე, გულუხვი მასპინძელი და მიზმიდველი მოსაუბრე. მან შესანიშნავად იცოდა და უყვარდა კლასიკური ლიტერატურა, ხელოვნება, პოეზია, მუსიკა. მისი ცხოვრებისეული გამოცდილება და პროფესიონალიზმი თავისი სტუდენტების, ასპირანტებისა და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკების მიმართ მათი აღზრდა-ჩამოყალიბების პიროვნული ღონისძიებები და ცხოვრებისეული სტილი ერთად აღებული, განსაკუთრებულ ხიზლს ანიჭებდა და სრულყოფილს ხდიდა მის ახლის ძიებით აღსავსე ცხოვრებას.

1979 წლის ოქტომბერში, ხეთა ფოთოლცეცხვისას, წაიქცა ქართული ტყის ბერძენი, საქართველოს ბუნების დიდი მკვლევარი, მოამაგე და გულშემატკივარი. გვახსოვს, მისი დაკრძალვის დღეს საშინლად წვიმდა, ბუნებაც ტიროდა და ეთხოვებოდა თავის ერთგულ ამავდარს.

ბატონი ვასილი პატიოსნებისა და ნამუხის ეტალონი იყო და ამაღლებული, საწუთროზე გამარჯვებული, სვეტაკი სინდისით და ქვეყნის წინაშე ვალმოხდილი შეუერთდა სულთა სამყაროს. მის მაღლიერ მოწაფეთა და კოლეგების, მთელი საქართველოს მოსახლეობის ხსოვნაში მარად იცოცხლებს ბუნების სიყვარულში დაფერფილი დიდი მამულიშვილის ნათელი სახე.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

შედევრი მწ წლის ასაკში

როგორ სტურუას ახალი სექტაკლის გამო



რუსთაველის ეროვნული თეატრი.
ესქილე; „მიჯაჭვული პრომეთე“;
სცენური ვერსიის ავტორი და დამდგმელი რეჟისორი – რომერტ სტურუა;
სცენური სივრცე – ანა ნინუა(კოსტიუმები), მერაბ მერაბიშვილი, რომერტ სტურუა;
მუსიკალური გაფორმება – სვიმონ ჯანგულაშვილი, რომერტ სტურუა;
ქორეოგრაფი – კოტე ფურცელაძე;
მთავარ როლებში: ლევან ხურციია, გოგა მარმაქაძე;
ქორეო: მანანა აბრამიშვილი, ანა ამილახვარი, ნინო არსენიშვილი, ეკა მინდიაშვილი, ქეთი სვანიძე, ნატალია ყულოშვილი, ქეთი ხიტინი.
მერ დამალამ: სულ სხვა რამეს ველოდი.
მაგრამ ეს ჩემი პრობლემაა და არა რეჟისორის. სტურუა მსახიობებს და მსახიობებს.
„მიჯაჭვული პრომეთე“...
ამ სექტაკლის შემდეგ, თვით ლაშა ჩხარტიშვილიც ვერ იტყვის, რომ სტურუა დაბრუნდა. იძულებული იქნება, ასე თქვას: სტურუა დაბრუნდა!
მაგრამ ასეთი როლის არ იყო? – საკითხავი, აი, ეს გაუხდება.
ამ სექტაკლს ვერაფერს დაუწუნებ. საიდანაც გინდა, შემოუარე, ნაკლს ვერ

მოუძებნი. ზუსტად ისეთი უნდა მიიღო, როგორც არის.
თუ ვერ მიიღებ, ეს მხოლოდ საკუთარ თავს უნდა დააბრუნო და დაეთანხმო რეჟისორს, რომელიც შენაირებს ასე მიმართავს:
„თქვენ ხომ არ იცით“, „თქვენ ხომ ამის უნარი არ გაგაჩნიათ“...
* * *
დიხ, სტურუას თეატრში იმისთვის მივყავართ, რომ გავვლანდლოს, შეგვანჯღრიოს და მერე დაგვადიქროს.
თემურ ჩხეიძე ამბობდა, მე მაყურებლის დაფიქრება მაქვს მიზნად. გასართობად სხვების სექტაკლებზე იარაღი.
დადიან კიდევ.
უფრო მრავლად.
სტურუა თან გვართობს და თან გააფიქრებს.
ამგვარი ბალანსი ახალ სექტაკლში კიდევ უფრო მკვეთრია:
მიჯაჭვული პრომეთე ჩვენს აზრსა და გონებაზე მოქმედებს, წამყვანი/ჰეფესტო კი უფრო ჩვენს გართობაზე ზრუნავს.
* * *
რას პრინციპულად მნიშვნელოვანია:
სტურუა გვიჩვენებს, რომ თეატრის ენას სიტყვისა და ქმედების განუყოფლობა ქმნის. ზოგჯერ ვერც კი ასწრებ იმის გააზრებას, როგორ იქცევა სიტყვა ქმედებად.
* * *
სტურუა აქვს ტრანსის ეგრძობის, ოღონდ, აქ ტრანსი თვით ზევისა და არა რიჩარდი ან ჰიტლერი.
* * *
„რომონს სპეციალისტმა, დიდი სიამოვნება მივიღე“, – მიხონა ცნობილიმა თეატრმცოდნე, ქალბატონმა ნათელა არველაძემ.
მაგრამ სექტაკლი ხომ სპეციალისტებისათვის არ იდგმება?!
ვინც თეატრის ისტორია, ანტიკური ხანის წარმოდგენების ბუნება არ იცის, ანუ ვისაც სათანადო მომზადება არა აქვს, სიამოვნება ხომ მანაც უნდა მიიღოს?!
* * *
მოდებს, რადგან შეუძლებელია, სიამოვნება არ მოგანიჭოს იმან, რაც სცენიდან გვესმის და რასაც სცენაზე ვხედავთ – განათებიდან მსახიობებამდე:
მიჯაჭვული პრომეთეს ტრავმული მომხიბვლელობა, წამყვანი/ეფესტოს სილაღე, ოკეანის ტურფა ასულთა(ქოროს) ჰარმონიული

მღელვანება, დახვეწილი სცენოგრაფია და კოსტიუმები, დიდი გემოვნებით შერჩეული მუსიკა, ნაირ-ნაირ ფერთა ვირტუოზული შეხამება...
ანუ ყველაფერი ის, რაც სტურუას თეატრის მაღალ ესთეტიკას ქმნის.
* * *
მერე რა, რომ შეიძლება, ზოგი რამ გუგუზარი (უფრო ზუსტად, აუხსნელი) დაგვჩვენებს?
განა, გალაკტიონთან ყველაფერი ადვილად ასახსნელია?!
აბა ვცადოთ და ავხსნათ ეს სტრუქტურა: „ოცნება ნახაზი საგანთა უარით“...
ეს რომ 85 წლის პოეტს დაეწერა, ხომ აღტაცებით შევძახებდით:
„შედევრი 85 წლის ასაკში!“
ესეც იგივეა:
რეჟისორის შედევი 85 წლის ასაკში!
* * *
გამომოდის რომელიმე ვაჭარი(?) და ამ დღემის შედეგობა უარყოფს!..
* * *
მსახიობებზე არაფერი მოთქვამს.
კი, მათ ისიც ვყოფათ, სტურუას მსახიობებში რომ არიან, მაგრამ მაინც.
რა თქმა უნდა, ვხვდებით, რატომ შურთ მათი:
ხუმრობა ხომ არაა, სტურუას მსახიობი გერქვას?!
თავის დროზე, თუმანიშვილის მსახიობებისა ანუ შურდათ.
რა კარგი შურია!
რა დიდებული!
* * *
მერე რა, რომ თითქმის შვიდი თვის განმავლობაში, დღესა და დამს ასწორებდნენ?
ეს რა მოსატანია მაშინ, როცა ყოველი რეპერტივია აზრის, ფიქრის, აღმოჩენის დღესასწაულია?!
* * *
და მაინც, რა უნდა ვთქვათ ახალ სექტაკლში მონაწილე მსახიობებზე?
ლევან ხურციია:
ასე მგონია, მსახიობად თავიდან დაიბადა.
ნამდვილი პრომეთეა – ტრავმული, ფიქრით, ამაყი, სევდიანი...
ადვილად გაჯერებს, რომ მიჯაჭვულობა არაფერად უჩანს.
ძალიან ძნელია, მთელი სექტაკლის განმავლობაში იყო მიჯაჭვული და ასე მართალი, დაბრუნებული.



გოგა მარმაქაძე:
მისი ნიჭიერება ყველამ იმთავითვე დაიჭრა.
სამედინეროდ, ეს არ აღმოჩნდა მხოლოდ სასწრაფო ნიჭიერება. გულახდილად ვიტყვი: თავიდან მივეჩვიე, სტურუამ რომ აიყვანა. ახლა კი მივხვდი, რატომაც. მეტად მნიშვნელოვანი როლი აქვს ამ სექტაკლში – დიონისესგან და სტურუასგან დავისრულებლი.
ღირსეულადაც უმკლავდებმა.

და ოკეანის ტურფა ასულნი?
აქ ყველაზე დაუნდობლად ნინო არსენიშვილს მოექცა: მის პერსონაჟს სილაშაზე წაართვა, სამაგიეროდ, ისეთი ნიღაბი მოარგო, ცნობა რომ გაგვიჩვენებდა. ამ ნიღაბქვეშ კი ყველა მსახიობისთვის საოცნებო გარდასახვის ალწვეს.
ეკა მინდიაშვილის პერსონაჟიც გამოჩნეულია: ფეხმძიმეა და უნდა ვივარაუდოთ, რომ მუცლით ახალ გმირს დაატარებს. ძნელი მისახვედრია, ეს ახარებს თუ უფრო აშფოთებს, რადგან მომავალი პირმშო პრომეთეს-ნაირი მუცლისთვის არ ემეტება – მზის თვალში, ხან რომ გმირია და ხან დამნაშავე. მსახიობი ამ გაოჩენას დამაჯერებლად გვიჩვენებს.
სრულიად განსხვავებული ფუნქცია აქვს ნატალია ყულოშვილის პერსონაჟს, რომელსაც პრომეთე ასე მიმართავს ხოლმე – „პატარავ... და ეს „პატარა“ ბოლოს ძალიან მნიშვნელოვან ფრაზას წარმოთქვამს: „რა მოხდა მერე, უიმედოდაც ხომ მშვენიერად ვცხოვრობთ?“ და მსახიობის ირონია ზუსტად გამოხატავს რეჟისორისა და სექტაკლის წუხილს, სწორედ ამგვარი ცხოვრების გამო.
განსხვავებული ფუნქციები აქვთ სხვა „ტურფა ასულმებსაც“, რასაც ასეთივე დამაჯერებლობით წარმოადგენენ მანანა აბრამიშვილი, ანა ამილახვარი, ქეთი სვანიძე და ქეთი ხიტინი.
მათი გუნდი ჰარმონიულ ქოროს ქმნის, მაგრამ ეს ქორო ერთსახოვანი როლია. ყველას თავისი ხმა და ფერი აქვს.
ყოველი მათგანი მნიშვნელოვანი და განსხვავებულად საინტერესოა.
მოკლედ, სტურუას მსახიობები არიან!..
* * *
ის მხოლოდ პირველი ნაწილია ტრელოგისა, დიდ მანსტროს რომ ჩაუფიქრებია.
ჯერ ამით დაგტკბეთ და კიდევ ორს დაველოდოთ...
იოსებ ჭუბუკურიძე



ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური და პანის არქეოლოგიური მუზეუმების აღიარება

ვეროპის მუზეუმების ფორუმზე, რომელიც 3-6 მაისს ბარსელონაში გაიმართა, ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის „სპეციალური აღნიშვნის პრიზი“ გადაეცა. ევროპის მუზეუმების ყოველწლიურ კონფერენციასა და დაჯილდოების ცერემონიაზე (EMYA 2023) სხვადასხვა კატეგორიაში გამარჯვებულები გამოვლინდნენ.
EMYA 2023-ის უიურის მხრიდან ევროპის ექვსმა მუზეუმმა სპეციალური ჯილდოები მოიპოვა. დიდ მრითანეთთან, ნიდერლანდებთან, ავსტრიასთან, ბელგიასთან და შვეიცარიასთან ერთად, განსაკუთრებული აღიარება თბილისში მდებარე ლიტერატურულ-მემორიალურმა მუზეუმმა დაიმსახურა, რომელიც ილია ჭავჭავაძის სახელობისაა.
„პირველი განსაკუთრებული ჯილდო დაიმსახურა მუზეუმმა, რომელიც პატივს მიაგებს მე-19 საუკუნის ერთ-ერთ გამოჩენილ ეროვნულ მოღვაწეს, რომლის საქმიანობაც შეფასებულია, როგორც ეროვნული თავისუფლების, გათავისუფლებისა და პროგრესის სიმბოლოდ. აღნიშნული მემორიალური სულისკვეთებით, მუზეუმი თავის ვიზიტორებს დააფიქრებს ისტორიულ მრძოლებზე და მათგან საზოგადოების თანამედროვე გამოწვევების დასაძლეველად, მთავარ-

ნებას იღებს“, – ნათქვამია ევროპის მუზეუმების ფორუმის ოფიციალურ ვებგვერდზე.
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის - ილია ჭავჭავაძის სახელობის განახლებული ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმი, რომლის რეაბილიტაციაც „თბილისის განვითარების ფონდმა“ განახორციელა, 2021 წლის სექტემბერში გაიხსნა. მუზეუმი საზოგადო, სოციალური და კულტურული ცხოვრების შესახებ ქვეყნის ისტორიას ასახავს. შენობა 1880 წელს აშენდა, სადაც ილია ჭავჭავაძე 1889-1901 წლებში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა. ამავე

შენობაში განთავსებული იყო გაზეთ „ივერიის“ სტამბა. ევროპის მუზეუმების ფორუმის სოციალურ ქსელ „ფეიქსში“ ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ-მემორიალური მუზეუმის შესახებ ვიდეორეგისტრაცია აქვეყნდნენ.
„აღნიშნული მუზეუმი თანამედროვე საქართველოს ევროპული მისწრაფებების კონტექსტში მნიშვნელოვანია. შენობა მკაფიოდ გამოხატავს, რომ ქვეყნის განსაზღვრებულ, საქართველო ევროპული კულტურის განუყოფელი ნაწილი იყო“, – ნათქვამია ევროპის მუზეუმების ფორუმის მიერ გავრცელებულ ვიდეორეგისტრაციაში.
მუზეუმის ამჟამინდელი შენობა თბილისის მუზეუმების გაერთიანებას 2016 წელს გადაეცა, 2017 წელს კი მუნიციპალიტეტის მერმა მისი სრული რეაბილიტაცია დაიწყო. განახლდა მუზეუმის საგამოფენო და მემორიალური სივრცეები, მოეწყო თემატური დარბაზები, სადაც განთავსებულია მემორიალური ნივთები, საგამოფენო ობიექტები, ნაბეჭდი მასალა და ინსტალაციები. გარდა ამისა, მუზეუმში განთავსებულია კაფე, საგანმანათლებლო სივრცე, სახელოსნო და სამუზეუმო მაღაზია. შენობა სრულად აღაპტირებულია შპმ პირთათვის.
ამავე დაჯილდოებაზე საზოგადოების მონაწილეობისა და ჩართულობის კატეგორიაში ასევე, გამარჯვებულად გამოცხადდა ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის ვანის არქეოლოგიური მუზეუმი, რომელიც საქართველოს მუზეუმების გაერთიანებაში შედის.






მოედანზე შევიდა და თამაში შეხვალა

Calciomercato: 7 ქულა: „შევიდა და თამაში შეხვალა. როდესაც ლორენცო ვენუტის უტევს, მას ყოველთვის დიდ სირთულეებში აყენებს. გამოიმუშავა პენალტი, რომელიც ოსიმენის გამარჯვების გოლად იქცა.“
შეგახსენებთ, რომ იტალიის ახალმა ჩემპიონმა უკვე 83 ქულა დააგროვა, მომდევნო ტურში კი 14 მაისს, გასვლაზე „მონცას“ ეთამაშება. სეზონში ხეივა კვარაცხელიას აქტივობა 39 მატჩში 14 გოლი, 14 საგოლე პასი და 5 მოპოვებული პენალტია. დადებით, რომ კლუბმა პომპეზურად აღნიშნა ისტორიაში მესამე სკუდეტოს მოხვევა.

ტატაგა



გიორგობა მოგვილოცა

მსოფლიოს ჩემპიონატზე ძიულში, რომელიც დოპინგის დანიშნულ, გიორგიმ სარდალაშვილიმ ბრინჯაოს მედალს დაეფლა.
19 წლის ტალანტმა, რომლისთვისაც ეს პირველი პლანეტის პირველობაა დიდებში, ბრინჯაოს მედალისთვის შეხვედრაში 10-წუთიან ბრძოლაში 3 გაფრთხილებით აჯობა მედლით აღიზნა ვერსტრანგის.
ბრინჯაოს მედალზე 60 კგ წონით კატეგორიაში გიორგიმ ზამბიელი სიმონ ბული და ავსტრიელი მარკუს ოიერი დაამარცხა, მეოთხედფინალში კი ესპანელ ფრანსისკო ვარგოსთან თავად წააგო. ქართველმა რეპეშაუში გადაინაცვლა, სადაც იპონით მოუგო ყაზახ ნურკანატ სერეიბაევს, შესაბამისად, მედალისთვის ჭიდაობის შანსი მიიღო.
მსოფლიოს ჩემპიონატი 14 მაისს ჩათვლით გაგრძელდება.

ტრიუმფის შაჰადი

„ნაპოლიმ“ ფლორენციის „ფიორენტინა“ 1:0 დამარცხა, ხშირად კამარასხელიამ კი, რომელმაც მხოლოდ ერთი ტაიმი ითამაშა, პენალტი მოიპოვა და შედეგზე გადაწყვეტი გავლენა მოახდინა.
იტალიური მედია ერთხმად აღნიშნავს, რომ მოედანზე მისი შესვლის შემდეგ თამაში შეიცვალა, რაც ადგილი შესამჩნევად იყო, რადგან ხეივას გარეშე ნეაპოლიელს რეალური საგოლე მომენტაც არ ჰქონიათ.
Sport Mediaset: 7 ქულა: „დაშავებული ლობანოს ნაცვლად მისი შემოსვლა ნაპოლის ძრავს ახურებს. გადაწყვეტი პენალტი მოიპოვა დრიბლინგით, როდესაც გონსალესი მოატყუა.“
Calcionapoli 1926: 7 ქულა: „მოედანზე შევიდა და თამაში შეხვალა. გამოიმუშავა პენალტი, გამაგიჟებელი ხარისხით.“
Tuttonapoli: 7 ქულა: „შევიდა და უბრალოდ დაიწყო ყველას წინააღმდეგ დრიბლინგი. ზოგჯერ ორმაგი მეურველობით აფერხებენ, ზოგჯერ ეს საკმარისი არ არის, როგორც მოპოვებული პენალტის შემთხვევაში.“
Tuttomercatoweb: 6.5 ქულა: „სპალიეტისგან დასასვენებლად სათადარიგოთა სკაუტებმა დატოვებულს თამაშში ჩართვა მოუწია ლობანოს ტრავმის გამო. მასში ნაჩვენებია სუფთა კრისტალური კლასის კადრები. ერთ-ერთი ასეთი კლასიკიდან პენალტი მოიპოვა.“
Eurosport: 6.5 ქულა: „შესაძლოა 50%-ით თამაშობს, მაგრამ გამოიმუშავებული პენალტით ახერხებს გამარჯვებაში გადაწყვეტი წვლილის შეტანას.“

ოვალური ბურთი

ღირსეული ბოლო აქორდი

მშვენიერად მანქანა და პირადად ბატონ მიძინა ივანიშვილის ძალისხმევით რომ სარაგზო ბუზია, ინფრასტრუქტურული აღმშენებლობა და მომავალ თაობებში სპორტის აღნიშნული რაინდული სახეობის არნახული პოპულარობაც მოწმობს.
საერთო სურათს არანაკლებ

სასიკეთო შტრიხს სძენს საფრანგეთში გასამართავ მორიგ მსოფლიო თასამდე ოთხი თვით ადრე, სადაც ბონკადალოსნები ზედიზედ მესხეთედ დაიცავენ სამშობლოს ღირსებას, შიდა სარბიელზე განვითარებული სათავგადასავლო უანრის მსგავსი მოვლენები, რაც ავტალის სტადიონზე დიდი ათის



ეგიდით ჩატარებული დრამატული ფინალით დაგვირგვინდა.

რუსთაშის ხარაბი - ბათუმი 24:22


ოთხგზის გვირგვინოსანმა ზღვისპირელებმა აქტიურად დაიწყეს სატიტულო ბრძოლა, ჯერ 10:0, ხოლო მალევე 15:5 დაწინაურდნენ და შავერში მათი მესხეთე ტრიუმფის სუნი დატრიალდა, მაგრამ...
მოგვეხსენებათ, გადაწყვეტი შეხვედრამდე ქვემოქართვლებს მრისხანე მეტოქესთან შედარებით მეტი თავისუფალი დრო ჰქონდათ, რამაც თავი შესვენების შემდეგ იჩინა. ისტორიაში მეორე მიღწევისთვის საკმარისი ზედიზედ ორი ლელო აღმოჩნდა, რასაც ნერვების ომში გამოუმუღავნებელი ფსიქოლოგიური სიმტკიცეც დაემატა და ეროვნული საკლუბო სეზონი დირსეული ჩემპიონის აღზევებით დაგვიშვიდობა.
დადებით, რომ ელიტაში პირველად თამაშის უფლება ოზურგეთის არჩევნებმა არმიის ძლევიტ დაიმსახურა - 20:13, ხოლო პირველი ქართული ფრენჩაიზი შავი ლომი სამხრეთამერიკული ტურნეს ბოლო შეხვედრაში ურუგვაის პენიაროლთან დამარცხდა - 31:35, რის შედეგადაც 5-მატჩიანი სერია უარყოფითი ბალანსით დაასრულა - 2 მოგება და 3 წაგება.

კორტზე

ზედიზედ მეორედ

მსოფლიოს მეორე ჩოგანმა პარტოს ალკარასმა მადრიდის ღია პირველობის ფინალში 6-4, 3-6, 6-3 მოუგო გერმანელ იან-ლენარდ შტრუფს და ზედიზედ მეორედ გახდა ტურნირის ჩემპიონი. ესპანელისთვის ეს მიმდინარე სეზონში მეოთხე, კარიერაში კი მესამე ტიტულია, ამ ათიდან კი ოთხი მასტერს 1000-ის ტურნირებზე აქვს მოპოვებული.
ალკარასი შარშან აშშ-ის ღია პირველობის ჩემპიონი გახდა და მსოფლიოს პირველი ჩოგანის სტატუსსაც დაეუფლა. ამ სტატუსს 20 კვირა ფლობდა და შემდეგ ისევ ნოვაკ ჯოკოვიჩის გადააბარა. ესპანელს რეიტინგის სათავეში დაბრუნება მომავალ კვირაში შეუძლია, თუ რომის მასტერსზეც ასე კარგად ითამაშებს. იქ მას დასაცავი სარეიტინგო ქულები არ აქვს, ჩემპიონმა ჯოკოვიჩმა კი 1000 ქულა უნდა დაიცვას.
სხვათა შორის, მადრიდის ტურნირის მსვლელობისას ალკარასს 20 წელი შეუსრულდა და ამ გამარ-

ჯებით საკუთარ თავს შესანიშნავი საიუბილეო საჩუქარი მიუძღვნა. შტრუფი გასულ სეზონში რეიტინგის ასეულს მიღმა დარჩა, მაგრამ მადრიდში ფინალში გასვლისთვის რეიტინგის 65-ე საფეხურზე გადაინაცვლებს.
ალკარასმა თამაში პირველივე გეიმში ბრეიკის მოპოვებით დაიწყო, მაგრამ გერმანელმა მალევე ბრეიკით უპასუხა და აქედან მოყოლებული, თავის ტიტულოვან მეტოქეს მგერი პრობლემა შეუქმნა. ამის მიუხედავად, ალკარასმა კიდევ ერთხელ შეძლო მეტოქის მოწოდების მოგება და პირველი სერიისთვის სასარგებლოდ დაასრულა.
მეორე პარტიის დასაწყისშივე შტრუფი უკეთ ათამაშდა და 3-0 დაწინაურდა. აქედან მოყოლებული, თამაში გათანაბრდა და გერმანელმა სეტებში ანგარიში გაქვითა, თუმცა გადაწყვეტი პარტიაში უკვე ალკარასმა იმარჯვა. ის დასაწყისიდანვე 3-1 დაწინაურდა და მოპოვებული უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვია.



სამეზობლო

მედალიც, პრიზიც

ონანის დედაქალაქ თეირანში ამ დღეებში გაიმართა ყოველწლიური VIII საერთაშორისო ტურნირი კარატეში სახელწოდებით „Master Cup“, რომელშიც 15 ქვეყნის 1500-მდე სპორტსმენს შორის საქართველოს შოტოკან კარატეს კონფედერაციის გუნდმაც მიიღო მონაწილეობა.
ამ პრესტიჟულ შეჯიბრზე, რომელიც ირანის კარატეს ფედერაციის ორგანიზებით გაიმართა, მსოფლიოს ოთხგზის და ევროპის მრავალგზის ჩემპიონმა ჭაბუკა მახარაძემ უფროსი კატეგორიის ინდივიდუალურ კატაში ვერცხლის მედალი დაიმსახურა და ასევე საუკეთესო სპორტსმენის პრიზი გადაეცა.
ჭაბუკა მახარაძემ, შოტოკან კარატე დოს მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი - „თეირანში“ კარატეს საერთაშორისო ჩემპიონატი ძალიან მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. ეს ყოველთვის მასშტაბური და პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირია, სადაც ძირითადად აზიის ქვეყნები იღებენ მონაწილეობას. დიდ სპორტულ კომპლექსში ერთდროულად 6 ტატამზე ტარდებოდა ასპარეზობები. ამ ჩემპიონატზე უფროსი კატეგორიის ინდი-

ყოველთვის მახარებს, როცა კვარცხლბეკზე ვდგავარ და საქართველოს დროზე ფრიალებს



ვიდუალურ კატაში გამოსვლისას პირველ წრეში 5:0 დამარცხე ალი ონარ ჰოსეინი (ერაყი), მეორე წრეში მოუგე 5:0 აბდულა ისმაილს (ირანი), მესამე წრე, ფინალი ქუეგით შეფასდა და I ადგილი დაიკავა მოჰამედ მაჰრაში (ირანი), II ადგილზე მე გავედი, ხოლო III ადგილი მუსტაფა ტაჰა ხუსეინმა (ირანი) დაიკავა. აღსანიშნავია, რომ ყველა სპორტსმენი სამავალითო პროფესიონალიზმით არის გამორჩეული, მაღალ დონეზე იყვნენ მომზადებულები და მეც თითქმის ყველა გამოსვლა დამაჯერებლად მოვიგე.
თეირანის საერთაშორისო ჩემპიონატზე პირველად 2008 წელს მივიღე მონაწილეობა და მას შემდეგ სტაბილურად და წარმატებით გამოვდივარ. საუკეთესო სპორტსმენის პრიზი ირანში წელს უკვე მესხეთედ გადმომეცა, რადგანაც ამ და ევროპის საერთაშორისო ჩემპიონატებზე მუდმივად აქტიურად ვასპარეზობ, საუკეთესო შედეგებიც მაქვს, ტურნირის ორგანიზებებშიც ეს იციან და აქედან გამომდინარე ამ სპეციალური პრიზით უკვე წლებია მაჯილდოებენ.
ასეთი დაფასებისთვის ტურნირის ორგანიზატორებს და ირანის კარატეს ფედერაციას მაღლობა მინდა გადაუხადო. მე ყოველთვის ვცდილობ, რომ ყველა ჩემპიონატზე წარმატებით ვიასპარეზო და ღირსეულად წარვადგინო ჩვენი ქვეყანა. ყოველთვის მახარებს, როცა კვარცხლბეკზე ვდგავარ და საქართველოს დროზე ფრიალებს.



თიანეთის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურა წესრიგდება

თიანეთის მუნიციპალიტეტში, ერთდროულად 8 ადგილზე, საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება მიმდინარეობს. აღნიშნული ღონისძიებები: დაბა თიანეთში – ხაჩინოს, გოგებაშვილის, ქუსნოს, თამარ მეფის ქუჩები და 300 არაგველის ქუჩის V შესახვევი; ასევე, სოფლების – ხოფცა-ზანიძეების დამაკავშირებელი გზა, სოფელ ხევსურთსოფლის გზა და სოფელ უმბოტის 2 ქუჩა. პროექტი ითვალისწინებს გზის მოსწორებასა და მოასფალტებას.

ზემო ხანდაკში საბავშვო ბაღი გაიხსნა

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა მიხეილ შაყულაშვილმა და კასპის მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ მაისურაძემ სოფელ ზემო ხანდაკში ახლად რეაბილიტირებული საბავშვო ბაღი გახსნეს. გახსნის ღონისძიებას რწმუნებულის პირველი მოადგილე სიმონ გულედიანი, მერის პირველი მოადგილე დავით ქისიშვილი, კასპის საკრებულოს თავმჯდომარე შოთა მეგლანაშვილი, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და აღსაზრდელების მშობლები დაესწრნენ. პროექტის ფარგლებში შენობას სრული რეაბილიტაცია ჩატარდა, მოეწყო ეზო და დამონტაჟდა საბავშვო ატრაქციონები. საბავშვო ბაღი სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს.



განხილვა აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306⁶ მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიბერთი ბანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მესამე აუქციონს ნუსრევან კოჯაევის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

- აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:
1. უძრავი ნივთის მესაკუთრე: ნუსრევან კოჯაევი (პ/ნ 36001048300), საგარეჯო, ს. ქვემო ლამბალო, მე-3 ქუჩა №6
2. უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა: საგარეჯო, ს. ქვემო ლამბალო, მე-15 ქუჩის 1 შესახვევი №5 (საკადასტრო კოდი: 55.21.51.000.182 https://naprweb.reestri.gov.ge/ - /search).
3. უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
4. უძრავი ნივთის საწყისი ფასი: 2500 ლარი.
5. აუქციონის დაწყების თარიღი: 2023 წლის 10 მაისი, 14:00 საათი.
6. აუქციონის დასრულების თარიღი: 2023 წლის 22 მაისი, 14:00 საათი.
7. აუქციონის ჩატარების ფორმა: ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge
8. ელექტრონული აუქციონის მონაცემები: განაცხადის №71271HZZP88974323; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 889743
9. მოქალაქე: ნუსრევან კოჯაევი (პ/ნ 36001048300), საგარეჯო, ს. ქვემო ლამბალო, მე-3 ქუჩა №6.
10. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი: შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/ს 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №40, სართული 11.
11. აუქციონის პირობები:
- აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
- მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეიღებოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
- აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიბერთი ბანკი“;
- აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შექენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თბილისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
12. აუქციონის პირობები: გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZZP88974323; ლოტის ნომერი: 889743).
ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2023 წლის 22 მაისის 10:00 საათამდე.

საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟი დადგენილები არბიტრაჟის სახელით საჯარო შეთხრობინების შესახებ საქმე №01-895/2019

ქ. თბილისი 8 მაისი, 2023 წელი
საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის თავმჯდომარემ მამუკა ღვინიაშვილმა, მხარეთა მონაწილეობის გარეშე განვიხილე სარჩელის საჯაროდ გავრცელების საკითხი.

გ ა მ ო ვ ა რ კ ე ვ ი:
საქართველოს საარბიტრაჟო პალატის საარბიტრაჟო სარჩელით მომართა ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“ თამარ საკანდელიძეს მიმართ, თანხის დაკისრების შესახებ.
საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის 2023 წლის 1 მარტის დადგენილებით ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ უფლებამონაცვლედ ცნობილი იქნა ს/ს „ბაზისბანკი“.
სარჩელისა და მასზე თანდართული მასალების ასლები, ასევე არბიტრაჟის უწყება და არბიტრაჟის დებულება, „არბიტრაჟის შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულებით დადგენილი წესების შესაბამისად, არბიტრაჟისათვის ცნობილ მისამართზე გავრცედა მოპასუხეს, მაგრამ ჩაბარების ორმაგი მცდელობის მიუხედავად ვერ ჩაბარდა არასრული მისამართის გამო. მოპასუხესთან დაკავშირება ასევე ვერ მოხდა ტელეფონით, რადგან საქმეში მითითებული ნომერი გამორთულია.
საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-17 მუხლის თანახმად თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის არბიტრაჟის შეტყობინების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება და არბიტრაჟის მიერ ამ დებულების მე-16 მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების მიწოდებისა და ჩაბარების მცდელობა უშედეგოდ აღმოჩნდა, არბიტრაჟს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება არბიტრაჟის შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. საჯარო შეტყობინება ხორციელდება იმ გაზეთის საშუალებით, რომელიც მასობრივად გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში არბიტრაჟის შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

არბიტრაჟს მიაჩნია, რომ ვინაიდან მოპასუხეს სარჩელში მითითებულ მისამართზე ვერ ხერხდებოდა თანდართული მასალები ვერ ჩაბარდა და ამასთან მისი სხვა ადგილსამყოფელი შესახებ არბიტრაჟისათვის უცნობია, მას სარჩელის და თანდართული მასალების თაობაზე უნდა ეცნობოს საჯარო შეტყობინებით.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:
ვიხელმძღვანელებ საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-2, მე-17 მუხლებით და

- და ვ ა დ გ ი ნ ე:
1. მოპასუხე თამარ საკანდელიძეს საქართველოს საარბიტრაჟო პალატა წინამდებარე პუბლიკაციით ატყობინებს შემდეგს:
საქართველოს საარბიტრაჟო პალატის წარმომავალი ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ უფლებამონაცვლის ს/ს „ბაზისბანკის“ საარბიტრაჟო სარჩელი თამარ საკანდელიძეს მიმართ, თანხის დაკისრების შესახებ.
სასარჩელო მოთხოვნა:
საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის საფუძველზე თამარ საკანდელიძეს ს/ს „ბაზისბანკის“ სასარგებლოდ დაეკისროს 5983.35 ლარის და საარბიტრაჟო მოსაკრებელის 299.16 ლარის გადახდა.
2. საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების 26-ე მუხლის თანახმად მოპასუხეს უფლება აქვს 7 დღის ვადაში საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟში წარმოადგინოს წერილობითი შესაბამისი საარბიტრაჟო სარჩელში მითითებულ ფაქტებსა და გარემოებებზე ან შეგებებული საარბიტრაჟო სარჩელი, რომლებშიც მითითებული უნდა იყოს:
ა) მხარეთა სახელწოდებები;
ბ) მისამართები (ადგილსამყოფელი);
გ) გარემოებები და მტკიცებულებები, რითაც შეიძლება დადასტურდეს შესაგებებულში (შეგებებულ სარჩელში) მითითებული მოთხოვნები და გარემოებები;
დ) შესაგებებულ (შეგებებულ სარჩელზე) თანდართული საბუთების ნუსხა.
3. თამარ საკანდელიძეს ეცნობოს, რომ საქმის განხილვა დანიშნულია 2023 წლის 24 მაისს, 12:00 საათზე ზეპირი მოსმინის გარეშე.
4. თამარ საკანდელიძეს ეცნობოს, რომ საქმეს განიხილავს არბიტრაჟის თავმჯდომარე მამუკა ღვინიაშვილი. მასვე განემარტოს, რომ საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულების მე-4 მუხლის თანახმად უფლება აქვს შეაჩივროს ჩაბარებიდან 7 დღის ვადაში წერილობით მომართოს არბიტრაჟს არბიტრის აცილების შესახებ, სადაც უნდა მიეთითოს აცილების საფუძველი და მოტივები.
5. თამარ საკანდელიძეს განემარტოს, რომ სარჩელი და თანდართული დოკუმენტები, ასევე უწყება საქმის განხილვის შესახებ, მოპასუხისათვის ჩაბარებულად ითვლება საჯარო შეტყობინების გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.
6. თამარ საკანდელიძეს განემარტოს, რომ საქართველოს საარბიტრაჟო პალატის მუდმივმოქმედი არბიტრაჟის დებულება საქმის წარმოების წესების შესახებ გამოქვეყნებულია საქართველოს საარბიტრაჟო პალატის ვებგვერდზე: http://acg.org.ge/img/debuleba.pdf
7. წინამდებარე დადგენილება გამოქვეყნდეს გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“.
8. დადგენილება ძალაში შედის გამოტანის მომენტიდან.



ქუთაისში ფილი მორიხის იუბილე აღნიშნეს

ქუთაისის მელიტონ ბალანჩივას სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრში დიდი ქართველი მომღერლის გურამ ანაბერძენის დაბადებიდან 95 წლისაღმდეგ მიძღვნილი საიუბილეო კონცერტი გაიმართა, რომელშიც სხვადასხვა თაობის წარმატებული მომღერლები მონაწილეობდნენ.

„პერაპინ პერასოლს მოგვრევა, როცა ასეთი პრი მიღვას უკან!!!“



ნუსა გუბალაძემ American Idol-ის ქასტინგისა და კონკურსის შესახებ ახალი დეტალები გაამხილა. გუბალაძე პირველი უცხოელი გახდა, რომელიც შოუს ტოპ-12-ში მოხვდა.

გუბალაძემ ამერიკულ მუსიკალურ კომპანიასთან კონტრაქტი გააფორმა და თავის პირველ ამერიკულ ალბომზე მუშაობს. პარალელურად American Idol-ის ფინალისთვის ემზადება და ქართველ გულშემატკივრებს მადლობას უხდის.

„ისე მავსებდა საქართველოსა და ჩემი ხალხის მხარდაჭერა, ჩემი ხალხის სიყვარული. ეს ისეთი ძალაა, რომ ვერავინ ვერასოდეს მომხრევა, როცა ასეთი ერი მიღვას უკან. თქვენ არ იცით, რამდენს ნიშნავს, როცა შენი სისხლი გიჭერს მხარს. ეს უფრო დიდი მოტივაციაა, რომ უფრო წინ ვიარო. როგორც შევძლებ და რის საშუალებასაც მომცემს ჩემი თავი და ჩემი კარიერა, ყველაფერს გავაკეთებ, რომ საქართველო იცოდნენ არა როგორც შტატი, არამედ როგორც ყველაზე მაგარი, ყველაზე ნიჭიერი და ყველაზე დიდი კულტურის მქონე ერი. აი ეს მინდა, რომ ყველამ იცოდეს და ძალიან მეგრი ტურისტი ჩამოვიდეს“, - ამბობს გუბალაძე.

ჯოჯი - ქვეყნის საუკეთესო კულინარი



საქართველოს პირველი არხის კულინარიული მეგობრის, „მასტერშეფის“ მეცხრე სეზონის გამარჯვებულის ვინაობა ცნობილია. ქვეყნის საუკეთესო მზარეულის ტიტული ჯოჯიმ მოიპოვა. გამარჯვებული ფინალურ შოუში გამოვლინდა. „მასტერშეფის“ ტიტულისთვის ასევე იბრძოდნენ ეკატერინე ბერიძე და ვაჟა წულუკიძე. ქართულ ტელევიზორებში ერთადერთი ლიცენზირებული საერთაშორისო კულინარიული მეგობრის - „მასტერშეფის“ მეცხრე სეზონი საქართველოს პირველ არხზე 5 მარტს დაიწყო.


სამწვეწველო რეკლამის შემდეგ ტემპერატურა პლანეტაზე 1,1 გრადუსით გაიზარდა. სპეციალისტები დარწმუნებულები არიან, რომ დათბობა გაგრძელდება, თუ მთავრობები გამონახობლქვეყნის შესამცირებლად მკაცრ ზომებს არ მიიღებენ.

რეკორდული სიხსნა ვიბრანოში

ამინდში დაკვირვების ისტორიაში ყველაზე მაღალი ტემპერატურა ქვეყნის ჩრდილოეთით, სან ჰოას პროვინციაში დადასტურდა, სადაც ჰაერი 44,1 გრადუსამდე გათბა. აქამდე რეკორდულ მაჩვენებლად ქვეყანაში 43,4 გრადუსი ითვლებოდა, რომე-

ლიც 4 წლის წინ, ჰა თინის პროვინციაში იყო. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ კლიმატის ცვლილებების გამო ეს მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზარდება.

პროვიდენტოსის კანდიდატი ექსპროვიდენტ ბიძის მკვლელობას გამოიძიებს



აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი რობერტ კენედი, აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის და თავისი ბიძის, ჯონ კენედის მკვლელობაში აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერულო სააგენტოს ადანაშაულებს.

რობერტ კენედის თქმით, აშშ-ის დაზვერვის სამსახური მონაწილეობდა არა მხოლოდ ჯონ კენედის მკვლელობაში, არამედ დანაშაულის ვეალის დაფარვაშიც.

„ანსებობს აბსოლუტური მტკიცებულება იმისა, რომ ცენტრალური სადაზვერულო სააგენტო მონაწილეობდა მის მკვლელობაში. ვფიქრობ, ამ ეტაპზე ეს საფუძვლიანი ეჭვის მიღმა“, - განაცხადა რობერტ კენედის ბიძის, ჯონ კენედის დაბადების 100-ე წლის 22 ნოემბერს მოკლეს. გამოძიებამ დაადგინა, რომ მკვლელობა ლი ჰარვი ოსვალდმა ჩაიდინა, რომელიც მარტო მოქმედებდა.



დააკავეს მოჩუბარი... პასუხი

სამართალდამცველები გამოახეხებენ სერიოზულად მიუღწეველ და შემთხვევის ადგილზე მივიდნენ. მათ შუა ქუჩაში აღმოაჩინეს ვაცები, რომლებიც ერთმანეთს რქებით ეჭიდებოდნენ.

„ეჭვმიტანილები ერთმანეთზე გამრავლებული იყვნენ, ჩხუბმა მეზობელ ნაკვეთებში გადაინაცვლა. ორივე საკმაოდ ჯიუტი იყო, მაგრამ ოფიცრებმა მათი გაშვება მოახერხეს და პუტენის ოლქის ციხეში გადაიყვანეს“, - განაცხადეს შერიფის ოფისში. ვაცები ციხის ფერმაში გადაიყვანეს, სადაც სასჯელს იხდიან ადამიანები, ვისაც იძულებითი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები აქვთ მისჯილი. მეორე დღეს პოლიციამ ვაცების მფლობელები იპოვა, რის შემდეგაც ცხოველები სახლებში დააბრუნეს.

საურონი - ახალი გვარის პეპლები

ბრიტანულმა მეცნიერებმა პეპლების ახალ გვარს სახელი ჯონ რონალდ რუელ ტოლკინის ტრილოგიის „მეჭდების მბრძანებლის“ პერსონაჟის, საურონის პატრივსაყვამად დაარქვეს - Saurona.



საურონი ტოლკინის ტრილოგიის მთავარი ანტაგონისტია. წიგნებში აღწერილია საურონის ყოვლისმხედველი თვალის, რომელიც მწველი მბრძანებლის სიძლიერის სიმბოლოა. პეპლების სტაფილოსფერ ფრთებზე არსებულმა შავმა რგოლებმა მეცნიერებში სწორედ საურონის ყოვლისმხედველ თვალთან გამოიწვია ასოციაცია.

ლონდონის ბუნებრივი ისტორიის მუზეუმში მიიჩნევენ, რომ „მეჭდების მბრძანებლის“ ცნობილი პერსონაჟის სახელი დაეხმარებათ პეპლებისადმი საზოგადოების ინტერესის გაზრდაში.

Saurona-ს გვარს პეპლების ორი სახეობა მიეკუთვნება - Saurona triangular ?? Saurona aurigera. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ველურ ბუნებაში ამ გვარის მეტი სახეობა ბინადრობს.

ლონდონის ბუნებრივი ისტორიის მუზეუმში მიიჩნევენ, რომ „მეჭდების მბრძანებლის“ ცნობილი პერსონაჟის სახელი დაეხმარებათ პეპლებისადმი საზოგადოების ინტერესის გაზრდაში.

აღმერთებში ადგილობრივმა ხელისუფლებამ სიტუაციას „უპრეცედენტო“ უწოდა. ამ დრომდე დაახლოებით 122 000 ჰექტარი ტერიტორია დაიწვა. ქარის გამო ხანძრის ბეგრი კერა უკონტროლოა.

კანადა ტყის ხანძრებმა მოიხრა

კანადაში, ალბერტას პროვინციაში, ტყის ხანძრების გამო საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. მასშტაბური ხანძრის გამო, საკუთარი საცხოვრებელი სახლის დატოვება თითქმის 25 000 ადამიანს მოუხდა. პროვინციაში 100-ზე მეტი ტყის ხანძრის კერაა.

ალბერტაში ადგილობრივმა ხელისუფლებამ სიტუაციას „უპრეცედენტო“ უწოდა. ამ დრომდე დაახლოებით 122 000 ჰექტარი ტერიტორია დაიწვა. ქარის გამო ხანძრის ბეგრი კერა უკონტროლოა.

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

ჭავჭავაძის გამზირი №170

მთავარი რედაქტორი
საბარტაძე ძორაულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის
მოადგილე
მამუკა ვაშაქიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ძორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გომიანიძე
599 53-76-16;

ალექს
ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლობა:

შპს 100 - ახალი
„საქართველოს რესპუბლიკა“
გაზეთ „საქართველოს
რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35

შპს „თანადგომა“-1-გაზეთ
„საქართველოს რესპუბლიკის“
გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იკაძეძაბა სტამბა
„ქოლორი“
ქ. პაღლაშაძის №3

კოდორი ჯაჭვი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323



2 009882 616932
ავტორთა
საბარტაძეძაბო!

რედაქციის მიერ
შეუქმეთავე მასალაზე
დაიკაძაბა
ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები,
შეხატვლა, მუდამ
არ ემთხვეოდეს
რედაქციის პოზიციას.
ფაქტობის
სიზუსტეზე პასუხს
აბაძაბა ავტორები.

გაზეთის მომსახურე ნომერი გამოვა ხვალ, 11 მაისს



უსტორიი ვაჭრის ქარსი:
აუუ ფონური - 2.4834; ვიკრი - 2.7377;
ბრიტანული ბირჟის სტარტინგი - 3.1321;
100 რუბლი - 3.2233; თურქული ლირა - 0.1294;
საბარტაძეძაბო მანათი - 1.4608;
1000 სომხური დრამი - 6.4237

აპრილი 10 მაისისთვის			
აქროსაპოლი საბარტაძეძაბო:			
ბარი -	ლაშ	+7,	ლაშ +23
მთიანი რაიონები -	ლაშ	+2,	ლაშ +16
დასავლეთი საბარტაძეძაბო:			
ბარი -	ლაშ	+7,	ლაშ +21
მთიანი რაიონები -	ლაშ	+4,	ლაშ +21
თბილისი:	ლაშ	+11,	ლაშ +23

დაგვიკავით, მოგვწერით:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge